

“ადამიანის უფლებათა დაცვა და ადვოკატირება”

2009 წლის 10-12 ივნისს ქ. ბათუმში, UNICEF –ის ორგანიზებით არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის გაიმართა ტრენინგი-სემინარი თემაზე: “ადამიანის უფლებათა დაცვა და ადვოკატირება”, რომელიც მოიცავდა სტრატეგიის შემუშავებას, მედიასთან მუშაობას, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობას და მხარდაჭერას.

ტრენინგს უძღვებოდა ბოლივიის დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ბატონი ჯიმ შულცი

E-mail: jimshultz@democracctr.org

Web-page: www.democracctr.org

ტრენინგს ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების 20 წარმომადგენელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან: ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი", სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, ახალგაზრდული ალიანსი, ორგანიზაცია "საფარი", უნარშეზღუდულ ქალთა ასოციაცია, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო - საქართველო, ორგანიზაცია "პროგრესი", გაეროს ასოციაცია, საია - ქუთაისი, საია - ბათუმი, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო, დრონი - ახალგაზრდული საბჭო, სათემო საგანმანათლებლო ცენტრი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, დემოკრატიის ინსტიტუტი, გაეროს ბავშვთა ფონდი.



თავდაპირველად, ტრენინგი ჯიმ შულცი და UNICEF-ის წარმომადგენლები გაეცნო შეკრებილ საზოგადოებას, შემდეგ კი, ყველამ მონაწილე მწარადგინა საკუთარი თავი და ორგანიზაცია.

ტრენინგმა ისაუბრა თუ რა არის ადვოკატირება და პრაქტიკული მაგალითების ჩართვით ვრცლად განიხილა საკითხები:

- რა არის ადვოკატირება
- რა არის ეფექტური საქართველოში
- როგორ იღებენ გადაწყვეტილებას პოლიტიკასა და სტრატეგიაზე პასუხისმგებელი პირნი
- როგორ შეუძლია მათზე გავლენის მოხდენა სამოქალაქო საზოგადოებას

- როგორ არის ხალხი ჩართული ამ პროცესში

შემდეგ, ბატონმა შულცმა ადვოკატირების სტრატეგიის შემუშავების 5 საკითხი წარმოადგინა “power point” – ის ფორმატში. განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- რისი მიღწევა გსურთ? (მიზნები)
- ვის შეუძლია ამ მიზნების შესრულება? (აუდიტორია)
- რა უნდა გაიგონ მათ? (მესიჯები/გზავნილები)
- ვისგან უნდა გაიგონ? (კოალიციები)
- როგორ უზრუნველყოფთ, რომ მათ ეს მესიჯები გაიგონ? (ლობირება)

პრეზენტაციის შემდეგ წარიმართა ჯგუფური სამუშაოები, შემდეგ კი, სწავლების მსვლელობაში ჩაერთო ადგილობრივი ტელევიზიის “TV 25” ჟურნალისტი ნათია ზოიძე და რადიოს - “თავისუფლება” წარმომადგენელი ნატო იმედაშვილი. ჟურნალისტებმა ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე, თანამშრომლობის რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც დაასახელეს და ამავე დროს, რჩევის სახით, მოუწოდეს კიდევ უფრო გააქტიურებისაკენ, რათა მათი საზოგადოებრივი საქმიანობები უფრო ნათელი და ცნობადი გახდეს მოსახლეობისათვის.

სწავლების პირველი დღე მრგვალ მაგიდასთან დასრულდა. მოხდა შესწავლილი მასალის შეჯამება და მეორე დღის აქტივობების გაცნობა.

ტრენინგის მეორე დღე მიმოიხილა განვლილი საკითხები და წარმოითქვა ჯგუფის კომენტარებიც. შემდეგ კი, ტრენერმა მორიგი პრეზენტაცია წარადგინა ადვოკატირების მიზნით მესიჯების/გზავნილების მიწოდებაზე და კოალიციების შექმნაზე. საუბარი იყო ასევე ადვოკატირების მიზნით განსახორციელებელი ქმედებების განსაზღვრაზე.

ტრენინგის მსვლელობას, როგორც პირველ, ასევე მეორე დღეს, თან ახლდა მცირე ჯგუფური სამუშაოები და გამამხნეველები “ენერჯაიზერები”, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა სწავლებას. რაც შეეხება ტრენინგის ორგანიზაციულ საკითხებს, სწავლება მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც UNICEF-ის მაღალორგანიზებულობასა და პროფესიონალიზმზე მიუთითებს.



ტრენინგის ბოლოს, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.